# თავისუფალი საქართველო

№3

6 - 12 თებერვალი

1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


ეროვნული ბიბლიოთეკა

## დახლეჩილი დროების საპირისპიროდ

**შევარდნაძე, თავის რეჟიმთან ერთად, რა ხანია, ანეკდოტების მთავარ გმირად იქცა; მაგრამ რეალობა, რომელიც მან შეგვიქმნა, ძალზე შორსაა ანეკდოტურობისგან**

... და ძნელი სათქმელია, აღიქვამს თუ არა საქართველოს მთელი მოსახლეობა ამ ვითარების ტრაგიკულობას. ფაქტია - აღიქვამს და განიცდის უშუქობას, უხელფასობას, სიცივეს; უბნების მიხედვით ირაზმებიან გადამწვარი ტრანსფორმატორების, კაბელების შესაკეთებელ სამუშაოებზე და გზების გადასაკეტად, ელექტროენერგიის ჩართვის მოთხოვნით.

ნიშანდობლივია, რომ ამ საერთო პრობლემის გარშემო ხალხის გაერთიანება არ ხდება და, ალბათ, არც მოხდება, ვინაიდან ენერგეტიკული კრიზისით ხალხის გამწარება მაინც უბნობრივ ხასიათს ატარებს. როგორც ჩანს, ხელისუფლება ითვალისწინებს პრობლემის სირთულეს და გარკვეული, ჩვენთვის უცნობი რიგითობით რთავს ელექტროენერგიას - ფიდერების მიხედვით. არადა, ერთი მძლავრი, საყოველთაო საფიდერაციო გაფიცვა - ყველა უბანი თავისი ფიდერის ნომრით მთავრობის სასახლესთან! - უმალ გონს მოიყვანდა მმართველ კლანს და შეახსენებდა, რომ ამ ქვეყანაში ადამიანები ჯერ კიდევ ცოცხლობენ და აზროვნებენ.

მაგრამ ეს არ მოხდება, ვინაიდან ის, ვინც უშუქობას ქვეყნის ბედზე მეტად განიცდის, არასოდეს შეუქმნის სირთულეებს მის რჩეულ ხელისუფლებას; ხოლო ვისაც საქართველოს მომავალი აღელვებს, მისთვის დღევანდელი სიდუხჭირე არც მოულოდნელობას წარმოადგენს და არც ყველაზე დიდ უბედურებას.

* * *

საქართველოში უარესებიც ხდება: დაკარგულია სამაჩაბლო და აფხაზეთი, სომხეთის ფაქტობრივი პროტექტორატის ქვეშაა გადასული სამცხე-ჯავახეთი, ასეულ ათასობით ადამიანი აყრილია თავისი ფუძიდან და სასტუმროებსა და საერთო საცხოვრებლებს შეკედლებულს, ჯიხურებში ვაჭრობით გააქვს თავი, ან, უცხო ქვეყნებში გახიზნული, საეჭვო ბიზნესს მიჰყოფს ხელს. აქ დარჩენილები კი - ან სხვებს იჭერენ, ან თავად არიან დაჭერილები; ან სხვებს ძარცვავენ, ან თავად არიან გაძარცვულები; და არავის არაფერი აზარებს...

ქვეყანა, რომელშიც დამხობილია კანონი და სახელმწიფოს არსებობის საფუძვლები, გათელილია სიკეთე, ჭეშმარიტება, სამართლიანობა - ერთნაირად გაუსაძლისია ყველასთვის: გამარჯვებული მდიდრისა და დამარცხებული ღატაკისთვის. მაშინაც კი, როცა მდიდარი თავისთვის იქმნის ავტონომიური კეთილდღეობის ილუზიას - გენერატორებით, მანქანებით, ნაძარცვი ფუფუნებით - მან მაინც იცის, რომ მის მიერ დამკვიდრებული სისასტიკის პოტენციური მსხვერპლია და ეს აზრი უმწარებს არსებობას, აძებნინებს სხვა სამშობლოს თავისთვის თუ არა, თავისი შვილებისთვის.

* * *

მაგრამ ყველაზე შემზარავია საშინელი სინდრომი ბრძოლის უაზრობისა და შეგუების გარდუვალობის, რომელიც არა მხოლოდ საზოგადოებრივი ნების პარალიზებას იწვევს, არამედ რყვნის თანამედროვე ადამიანებისა და მომავალი თაობის ცნობიერებას. ეს არაა უბრალოდ პოლიტიკური და სოციალური ვითარების შედეგი. ესაა მიზანმიმართული ფსიქოლოგიური დივერსია მთელი ერის წინააღმდეგ. სხვადასხვა ფენებში ეს სინდრომი ამ ფენის ინტერესებისთვის შესაბამისი და მისაღები ფორმით მკვიდრდება: უბრალო ხალხში - ობივატელური ლოგიკის, ვაჭრებში - სარგებლიანობის პრინციპის, ნომენკლატურაში - პერსპექტიულობის, ინტელექტუალებში - ევოლუციური თეორიის სახით.

გვსურს თუ არ გვსურს, ეს სინდრომი მკვიდრდება ჩვენს გარშემო და ჩვენში - ან ჩვენს ნახევარში, მეოთხედში, სულის მიმალულ სიღრმეებში...

დღევანდელობა ჩვენს შინაგან დამორჩილებაზეა გათვლილი და მომართული. ამიტომაც, ნამდვილი ბრძოლის ველი დღეს სწორედ აქაა - ჩვენში, სადაც ერთმანეთს ებრძვის უძრაობის მცონარობას მონატრებული, ექსტრემალური ვითარებებისა და სტრესებისგან დაღლილი ფსიქიკა და უსამართლობასთან შეურიგებელი, წართმეულ თავისუფლებას მოწყურებული სული. გამარჯვებული და თავისუფალიც სწორედ ის იქნება, ვინც თავის

**1თებერვალს უზენაეს სასამართლოში დაიწყო სს საქმის (№ 7495927) სასამართლო განხილვა. განსასჯელები - ვახტანგ (ლოთი) ქობალია, ჯამბულ ბოკუჩავა, სიმონ (სოსო) ქღენტი, ზვიად ძიძიგური, ნუგზარ მოლოდინაშვილი - სათითაოდ შემოჰყავდათ სხდომათა დარბაზში ეგზალტირებული დაზარალებულების წყევლისა და ახლობლების ჩუმი ქვითინის ფონზე.**

მაგრამ იმ დღის მთავარი მოვლენები სხდომის დაწყებამდე, უზენაესი სასამართლოს შესასვლელში განვითარდა. სასამართლო პროცესზე დასწრების მსურველებს საგანგებოდ ჩხრეკდნენ პოლიციის მუშაკები, მათ შორის,

„მარჯის" რედაქტორი ბეჟან ჯავახია, რომელიც, სხვა ჟურნალისტებისგან განსხვავებით, დაინტერესდა, თუ რატომ არ უშვებენ სასამართლოზე მის კოლეგას. გარეთ მყოფი მთაწმინდის რაიონის პოლიციის განყოფილების

ადგილები აღარ იქნება, ვერ შეგიშვებთო".

ამ დროს 1993 წელს ხობში დაღუპული ჟურნალისტის, დავით ბოლქვაძის დედამ ყვირილით მიმართა სამთავრობო დაცვის მუშაკებს, არ დაეშვათ ანა ჭავჭავაძე პროცესზე, რასაც მოჰყვა დაუსაბუთებელი ბრალდებები ჟურნალისტის მიმართ.

ექსცესები სხდომათა დარბაზშიც გაგრძელდა. ვახტანგ ქობალიას შემოყვანას თან ახლდა დაზარალებულების წყევლა - „მკვლელო, ამოწყდა შენი გვარი"... განსასჯელთა ახლობლები თავშეკავებით შეხვდნენ ყოველივე ამას, თუმცა ბადრაგი და პოლიცია, რატომღაც,

## სასამართლო პროცესი ღიაა... ბადრაგისთვის

ოფიცერი მზია (გვარი , თუ არ ვცდებით, კიკუაშვილი; თუ ვცდებით, ვთხოვთ შსს-ს მოგვაწოდოს დაზუსტებული ინფორმაცია), რომელმაც ზოგიერთი ქალბატონი ცალკე ოთახშიც კი გაიყვანა და, პირდაპირი მნიშვნელობით, ტანისამოსი გახადა. რას ეძებდნენ მარჯვე პოლიციელები, გაუგებარია. ერთ-ერთი განსასჯელის ახლობელმა გაკვირვება გამოთქვა: „შევარდნაძესთან შესახვედრად ხომ არ მივდივარ, თან ბომბი რომ მქონდეს. იქ ჩემი ნათესავია და მას ხომ არ ავაფეთქებო".

მრავალრიცხოვანი კორესპონდენტებიდან სამთავრობო დაცვამ ამოირჩია გაზეთ „თავისუფალი საქართველოს" თანამშრომელი ანა ჭავჭავაძე და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების წევრები ლია ბერუაშვილი და მაია კერესელიძე, რომელთაც, თურმე, არც პროცესის ვიდეოფირზე გადაღების უფლება ჰქონიათ, არც მასზე დასწრების. „ჩვენ თქვენ გიცნობთ, ვიცით რა ხალხიც ბრძანდებით" - განაცხადა პოლიციის მუშაკმა კაციტაძემ მას შემდეგ, რაც ყველა სხვა საბაბი გამოელია. ანა ჭავჭავაძე ძალის გამოყენებით გააძევეს და თან გააყოლეს გაზეთ

უფროსთან, ელგუჯა ჯამბურიასთან მოლაპარაკების შედეგად, ჩვენი კორესპონდენტი კვლავ დაუშვეს სასამართლოს შენობაში, მაგრამ კაციტაძის და ვინმე ნინუას მითითებით, კვლავ გამოაძევეს.

შენობაში არ შეუშვეს არც გიორგი ხოშტარია, აგრეთვე წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრი, ქ-ნი ეთერ მგალობლიშვილი, რომელმაც გარეთ მდგომ პოლიციელებს ღიმილით ჰკითხა: „ქუჩაში აქციები ხომ არ მოგენატრათ? ჩემს გარეთ დატოვებას, გიჯობთ შემიშვათ". ვითარება უზენაესი სასამართლოს წინ სულ უფრო იძაბებოდა. როგორც ჩანს, პოლიცია მოერიდა სიტუაციის შემდგომ გამწვავებას და მოგვიანებით შენობაში შეუშვეს თითქმის ყველა მსურველი.

სამაგიეროდ, პიკეტმა გადაინაცვლა სასამართლოს შიდა კიბეზე. აქ კვლავ შერჩევით დაიწყეს ჟურნალისტების შეშვება - პირველ რიგში საერთაშორისო სააგენტოებისა და ოფიციოზური პრესის კორესპონდენტების, შემდეგ პროცესის მონაწილეთა ნათესავების, ხოლო ოპოზიციური გაზეთების თანამშრომლები კვლავ ბოლოსთვის მოიტოვეს: „თუ დარბაზში

მათ უცაცხანებდა - „წყნარად იყავითო". ეს გასაგებიცაა, ვინაიდან დაზარალებულთა ნახევარზე მეტი პოლიციის თანამშრომლები აღმოჩნდნენ. ერთმა ასაკოვანმა მამაკაცმა ბოლოს წამოიძახა - დარბეული სამეგრელოს და აფხაზეთის ნახევარ მილიონ დაზარალებულს მოგიყვანთ და ვნახოთ, რას იტყვითო.

ნათელი იყო, რომ სიტუაციის დაძაბვა და კონფლიქტის ხელოვნური პროვოცირება პროცესის დახურვის საბაბი გახდებოდა. ამიტომ, მეორე მხარე მაქსიმალურად იკავებდა თავს - არ პასუხობდა შეურაცხყოფებს. და მაინც, სხდომის შემდეგ ერთ-ერთმა ქალბატონმა ვერ მოითმინა და შეუტია დაზარალებულ პოლიციელებს: „სანამ დაზარალებულები გახდებოდით, მანამდე მთელი სამეგრელო დაარბიეთ. გოჩა ჯიქიას, ან გივიკო რეხვიაშვილის დედა დაზარალებულები არ არიან განა, ათასობით ხალხის თვალწინ რომ დაუხვრიტეს შვილები და მათ მკვლელებს, არავინ იჭერს."

*დასასრული მე-3 გვერდზე*

## ტრაგედია, რომელსაც ცოტანი იხსენებენ და ბევრნი არ იმჩნევენ

2 თებერვალს, მშვიდობიანი მანიფესტანტების დახვრეტის ხუთი წლის თავზე, საქართველოს ჰელსინკის კავშირმა თამარის ხიდიდან, დავით აღმაშენებლის პროსპექტის გავლით, მარჯანიშვილის მოედნამდე მოაწყო მსვლელობა. მისმა მონაწილეებმა ყვავილებით მოფინეს ის გზა, რომელზეც სამშობლოს სიყვარულს შეეწირა 18 უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე, სადაც კანონიერების დამცველ ქართველ პატრიოტებს ჯავშანმანქანებით დასდევდნენ და ტყვიებს უშენდნენ ახლად დამკვიდრებული რეჟიმის ჯალათები. შემდეგ მოედნის ცენტრში სანთლები დაუნთეს დაღუპულთა სულებს.

ეს სანახაობა - მოვაჭრეთა ჯიხურებსა და უცხოურ მანქანებს შორის მოარული ადამიანები, ყოჩივარდების კონებით - ვიღაცის გაოცებას იწვევდა, ვიღაცას ღიმილს ჰგვრიდა, ვიღაც კი იგინებოდა - მანქანას გავლას უშლიანო. ქალაქი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა - ბნელი, ცივი, უსახური ცხოვრებით, რომლის სათავე სწორედ იმ ხუთი წლის წინანდელი ტრაგიკული დღეებიდან მოდის. მოდის და არ მთავრდება უდანაშაულოთა სისხლით მოპოვებული დემოკრატიის ნეტარება, დასასრული არ უჩანს უსასრო ყოფას, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინანდელი აღმაფრენა ცივ და ბნელ კოშმარად აქცია.

ეს არც დასრულდება მანამ, სანამ საქართველოს მართვის სადავეები ხელთ უპყრია უდანაშაულოთა სისხლის ღვრით დამკვიდრებულ ხელისუფალს; სანამ ჯიხურებთან მოფუსფუსე ადამიანები ვერ მიხვდებიან, რომ მათი გადარჩენა მხოლოდ ჭეშმარიტების სამსახურით, ეროვნული და პიროვნული ღირსების აღდგენით მიიღწევა, და არა ძლიერთა უსამართლობისადმი მონური მორჩილებით.

გვახსოვდეს მათი სახელები, ვისაც ბედნიერი ქვეყნის შვილობა სურდა და ამ ბრძოლაში სიცოცხლე არ დაინანა!

### 1992 წლის 2 თებერვალს, მშვიდობიანი მანიფესტაციის დროს დახვრეტილი პატრიოტები

ზურაბ ჯავახიშვილი - 15 წლის
ზურაბ დიდებაშვილი - 17 წლის
იმედი ჭანტურიძე - 17 წლის
გერონტი ლიპარტელიანი - 25 წლის
მამუკა ტერიშვილი - 18 წლის
ალიკო დავრაშვილი
ტრისტან ცერაძე - 70 წლის
იური ტალახაძე - 42 წლის, სამი შვილის მამა
მიხეილ ფოლადიშვილი - 50 წლის
ტარიელ ხერკელიძე - 41 წლის

# ვის უხმობს სასიკვდილო განაჩენი

კაცობრიობის ისტორიაში არაერთი მაგალითი არსებობს იმისა, თუ რა მეთოდებით ხდება იმ პიროვნებების დევნა და დისკრედიტაცია, რომლებიც მიუღებელ და სახიფათო ფონს უქმნიან მმართველ რეჟიმს და მას დაქვემდებარებულ საზოგადოების იმ ნაწილს, ზნეობრივი კომპრომისების წყალობით, კარგად რომ მოერგო შემოთავაზებულ კონიუნქტურას.

ასეთი პიროვნებები, რეჟიმის მითითებით, შეშლილებად ან დამნაშავეებად არიან შერაცხულნი. შეშლილობის იდეა საუკუნის დასაწყისის ლიტერატურის ერთ-ერთ მთავარ თემად იქცა და მას საფუძვლად დაედო შექსპირისეული ჰამლეტის სულიერი აშლილობის პოეტური მოტივები. დასავლურ ყოფაში საზოგადოებრივ კონიუნქტურას გამიჯნული პიროვნებები, რომელთა ყოფიერების მოდელი სპეციფიკურ პრობლემებს უჩენს სტერეოტიპებითა და კლიშეებით მოაზროვნე საზოგადოებას, შეშლილებად ცხადდებიან. მათთვის ვერ იძებნება ადგილი ვერც სოციალურ იერარქიაში და ვერც პიროვნულ ურთიერთობებში. ასე ჩნდება პრობლემა მარტოობისა, გაუცხოებისა, ანუ კონკრეტულად, პიროვნების პრობლემა.

ქართულ სინამდვილეში პიროვნების, როგორც საერთო სოციალური სივრციდან ამოვარდნილი ერთეულის პრობლემა არასოდეს ყოფილა წამყვანი თემა. საქართველოში პიროვნებას სხვა ფუნქცია და მისსია ეკისრება. თანამედროვე თუ ისტორიული მაგალითები გვიჩვენებს, რომ კავკასიურ რეალობაში პიროვნება ყოველთვის იდენტიფიცირდება გარკვეულ იდეასთან, რომელსაც საზოგადოების ერთი მცირე, მაგრამ სოციალურად მძლავრი ნაწილი აგრესიულად არ იზიარებს - ებრძვის და დევნის მას. შორეული წარსულის ყველა მაგალითი ფერმკრთალდება უახლესი ისტორიის ფონზე. ერთ საუკუნეში ორი ქარიზმატული ლიდერის საზოგადოებრივი ანათემა, ალბათ, იმის მაუწყებელია, რომ ნებისმიერ დროს მმართველი რეჟიმი გამეცადინებულია საზოგადოებაში ისეთი დასაყრდენი შეიქმნას, რომელიც ხელს შეუწყობს მისი სადამსჯელო მექანიზმის შეუფერხებელ მუშაობას ისე, რომ უმაღლესი ხელისუფალნი პილატეს როლში დარჩნენ - საზოგადოება ითხოვს, ხალხის ნებაა, ჩვენ კი არაფერ შუაში ვართ.

ამგვარი მანკიერი მექანიზმი ამოქმედდა ზვიად გამსახურდიას, როგორც პიროვნების, ხელისუფლების ლიდერის, პრეზიდენტის წინააღმდეგ. ალბათ, ყველას ახსოვს, რა ენთუზიაზმით ავრცელებდნენ მითოლოგიზირებულ ჭორებს მისი პიროვნების გარშემო, რათა იგი შეშლილად გამოეცხადებინათ, ხოლო მისი იდეები პარანოიულ ამოჩემებად. უშიშროების სამსახურმა ისიც კი დაიბრალა, რომ მას სუკის იზოლატორში ფსიქიკური ზეწოლის შედეგად ცნობიერება დაერღვა, თუმცა მალევე მიხვდა, რომ ამგვარი მეთოდებით ბრძოლა სასიკეთო შედეგს ვერ გამოიღებდა და პირიქით, უფრო შეუწყობდა ხელს ეროვნული ლიდერის პოპულარობას.

რაც შეეხება გამსახურდიას გასამართლებისა და დასჯის იდეას, ეს ჯერ კიდევ ადრეულ წარსულში დაიბადა. იგი რამდენჯერმე გაასამართლეს ჯერ კიდევ სიყრმეში, შემდეგ დაიჭირეს და გადაასახლეს, მაგრამ ყველა მცდელობა ზვიად გამსახურდიას ფენომენის მოსპობისა, კრახით დამთავრდა.

ეროვნული მოძრაობის აზვირთების პერიოდში, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი მის გვერდით აღმოჩნდა, არსებულმა რეჟიმმა კვლავ მოინდომა ზვიად გამსახურდიას დისკრედიტაცია და შემდეგ მისი გასამართლება. ერთ დროს მას ჯაბა იოსელიანიც კი მიუგზავნეს, რათა წარმატებით ეთქვათ, რომ გამსახურდია კრიმინალებთან თანამშრომლობს და თვითონაც კრიმინალია.

ეს მცდელობაც წარუმატებლად დამთავრდა. მაშინ უშიშროების სამსახურს მოაგონდა, რომ არსებობს ლინჩის წესით გასამართლების საერთაშორისო ფორმა. ისე, როგორც ცივილიზებულ თბილისელებს ეკადრებათ, ფილარმონიის დიდ დარბაზში სახელდახელოდ შეიკრიბა "ეროვნულ-ელიტარული" საზოგადოება და რეჟისორ რეზო ჩხეიძის პირით მოითხოვა ზვიად გამსახურდიას საქართველოდან გაძევება. რამდენიმე წლის შემდეგ, რუსეთის არმიისა და საიდუმლო სამსახურების მეშვეობით, ეს განხორციელდა კიდეც. საქართველოდან დევნილი პრეზიდენტი კი ხაზინის ქურდად და ზოოპარკების მძარცველად გამოცხადდა. დროთა მანძილზე ამგვარმა ბრალდებებმა იმდენად კომიკური ხასიათი მიიღო, რომ სამხედრო საბჭოს პროკურორმაც კი მოუხსნა დევნილ პრეზიდენტს ყველა ბრალდება.

ზვიად გამსახურდიას გასამართლების ენთუზიაზმი დღესაც არ დამცხრალა. არსებული რეჟიმი ცდილობს მის მომხრეთა დაპატიმრებითა და დისკრედიტაციით სამაგალითო სასამართლო მოუწყოს საქართველოს პრეზიდენტს. შეუქმნას ამ ადამიანებს ტერორისტისა და ბანდიტის, ქურდისა და ავაზაკის სახელი, რათა ისტორიის წინაშე მიჩქმალოს მათი ღვაწლი და საკუთარი დანაშაულობანი.

ასეთი მცდელობები უკვე კარგა ხანია დაიწყო. "ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა" პირველი საქმე, მიუხედავად მესამე ხელისუფლების განუზომელი მცდელობისა, წარუმატებლად დასრულდა. ახლა არსებული ხელისუფლება მთელ სასოებას ახლადშეთითხნილ სახელის სამართლის საქმეზე ამყარებს. ეს საქმეც (და კიდევ, ვინ იცის, მომავალში რამდენი ასეთი საქმე შედგება) კვლავ პრეზიდენტის წინააღმდეგაა მიმართული. აქ არ სამართლდებიან კონკრეტული პიროვნებები კონკრეტული დანაშაულობების გამო. აქ სამართლდება საქართველოს პრეზიდენტი - ეროვნული და ზნეობრივი გმირი ზვიად გამსახურდია: სიყვარულისთვის, ერთგულებისთვის, თავგანწირვისთვის; აქ სამართლდებიან დავით აღმაშენებელი, დემეტრე თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე, ილია ჭავჭავაძე და მათი უკვდავი იდეები, რომელსაც ვერაფერს ავნებს თვით სასიკვდილო განაჩენიც კი.

*ქეთევან ქურდოვანიძე*

საქართველოსთვის გასული კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა კაბინეტის ერთობლივი დელეგაციის ვიზიტი მოსკოვში. სახელმწიფო მეთაურისა და მის მთავარ მეგუნდრუკეთა მიერ "დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა სამიტზე მიღწეული უდიდესი წარმატების აღსანიშნავად" ატეხილი დაფა-ზურნის ხმა ჯერ კიდევ არ ჩამცხრალიყო, რომ სეპარატისტი არძინბა რუსეთის დედაქალაქს ეწვია.

რუსეთის ფედერაციის ოფიციალურმა პირებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს "შევარდნაძის ძალისხმევით მთელ მსოფლიოსგან იზოლირებულ" დამნაშავეს და პრესკონფერენციის გასამართავად სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნაც კი დაუთმეს. ამ ტრიბუნიდან სათათბიროს დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ -გეორგი ტიხონოვმა და აფხაზმა ლიდერმა აუწყეს ჟურნალისტებს და მთელ მსოფლიოს, თუ როგორ იწვიან სურვილით უახლოეს მომავალში აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში იხილონ. მათ მიუღებლად მიიჩნიეს აფხაზეთისთვის ბლოკადის გამოცხადების მცდელობა. იგივე აზრი გამოთქვეს სათათბიროს უმსხვილესი ფრაქციების წარმომადგენლებმა - ლიბერალ-დემოკრატებმა, კომუნისტებმა და აგრარიებმა. ბლოკადის მოწინააღმდეგეა სათათბიროს სპიკერი - გ. ლაზარევი. ძალთა ამგვარი განლაგება რუსეთის წამყვან პოლიტიკურ წრეებში განუხორციელებელს ხდის აფხაზეთის იზოლაციის გეგმას. ასე დასრულდა გადახტომამდე "ჰოპლას" მყვირალი ქართველი პოლიტიკოსების წრეგადასული და უსაფუძვლო კუნტრუში.

ამასობაში შევარდნაძის "ბრძნული" საგარეო პოლიტიკით ფრთაშესხმული და "ზოგიერთი რუსეთის შემარცხვენელი რეაქციონერის და სეპარატიზმის ნათლიის" (იაკუშევი, ტიხონოვი, ბაბურინი) ქმედებით გაგულისებული ლტოლვილები მიტინგს მიტინგზე მართავენ რუსეთის საელჩოსთან, ლოზუნგებით: "ჩვენს მოთმინებას საზღვარი აქვს," "აფხაზეთი - ჩეჩნეთი - ყიზლარი". ამ ბოლო ლოზუნგის აზრი ძნელი გამოსაცნობი არ გახლავთ: ლტოლვილები [illegible] თვლიან, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა რუსულ-აფხაზური ძალისხმევით და ჩეჩენ პატრიოტთა ბრძოლა თავისუფლებისთვის - ერთი რიგის მოვლენაა და ორივე უნდა ამოიშანთოს. ამგვარი ლოზუნგებით, ნებსით თუ უნებლიეთ, ამართლებენ რუსეთის ხელისუფლების ბარბაროსობას ჩეჩნეთში.

უნდა ითქვას ისიც, რომ რუსებმა სულ სხვა ანალოგია მოუძებნეს აფხაზეთის პრობლემას. "აფხაზებს ვუწოდოთ სეპარატისტები და ქართველებს კი, რომლებიც გავიდნენ სსრკ-დან, არა - სწორი არ იქნება." - განაცხადა გეორგი ტიხონოვმა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მასხრად იგდებენ მას, ვინც თვითონ იმასხარავებს თავს.

"თავისუფალი საქართველო" აფხაზეთიდან ლტოლვილთა უზნეო ლოზუნგების შესახებ ადრეც წერდა. კერძოდ, ვამბობდით, რომ შეუძლებელია მტერზე გამარჯვების სიხარული და ბედნიერების უფლება მოიპოვოს მან, ვისაც არად უღირს ერთი მუჭა თავგანწირული ხალხის ბრძოლა თავისუფლებისთვის, მათ მიერ საკუთარი ღირსების გადასარჩენად დაღვრილი სისხლი, და შინაგანად დამპყრობლის მხარეზეა. აფხაზეთის კონფლიქტსა და რუსეთ-ჩეჩნეთის ომს რომ ერთმანეთთან არავითარი კავშირი არა აქვს, თუნდაც მხოლოდ იმ ფაქტით დასტურდება, რომ აფხაზთა ლიდერს არ სწყინდება განცხადებების კეთება რუსეთის შემადგენლობაში შესვლისთვის მზადყოფნის თაობაზე მაშინ, როდესაც ჯოჰარ დუდაევი და ჩეჩენი ხალხი რუსეთიდან თავის დაღწევისთვის იბრძვიან.

ლტოლვილთა ერთი ნაწილის პოზიცია კიდევ უფრო უცნაური ჩანს რუსეთში წამოწყებული მასობრივი ანტისაომარი მოძრაობის ფონზე. ნიჟეგოროდის ოლქში მილიონზე მეტი ხელმოწერაა შეგროვებული. ჯარის გამოყვანის მოთხოვნას მხარს უჭერენ გაფიცული მაღაროელებიც. ხელმოწერათა შეგროვება მიმდინარეობს რუსეთის სხვა ქალაქებშიც და, როგორც ვარაუდობენ, მათი რიცხვი სულ მალე რამდენიმე ათეულ მილიონს მიაღწევს.

სხვა ქვეყნების კონფლიქტების მოგვარებაში დაოსტატებული რუსეთი, რომელიც ამაყად იფერებს მშვიდობისმყოფლის სახელს, თავად სულ ახალ-ახალი სიძნელეების წინაშე დგება. რუსეთის ხელისუფლება ვეღარ აკონტროლებს სიტუაციას ქვეყანაში და საკუთარი უსუსურობის კამუფლირებას ოდენ ენით აუწერელი სისასტიკით ცდილობს. ჩეჩნეთში წარმოებულმა სამარცხვინო ომმა გამოფიტა რუსეთის ისედაც დაძაბუნებული სხეული. უზარმაზარი თანხები, რომელიც ჯარს სჭირდება, რიგითი მუშა-მოსამსახურეების ჯიბიდან იქნა ამოღებული. ამ უკანასკნელთა პროტესტმაც არ დააყოვნა. რუსეთი მოიცვა გაფიცვების, საპროტესტო მიტინგების ტალღამ. გაიფიცნენ მაღაროელები, მასწავლებლები... ისინი, ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკურ მოთხოვნებსაც აყენებენ - მოითხოვენ მთავრობის გადადგომას.

ყველა ამ უბედურებას ემატება ქვეყნის პრეზიდენტის არაადეკვატური ქმედებები (მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინ, სიასამურის ბეწვის უზარმაზარი ყურებიანი ქუდით თავდამშვენებული ელცინი ცდილობდა ერთდროულად ოცდათვრამეტი სნაიპერის იმიტაცია მოეხდინა. თოფმომარჯვებული სნაიპერივით ბრუნავდა კამერის წინ და მაყურებელს არწმუნებდა: მძევალთა ადგილსამყოფელის გრადით დაბომბვა სჯობს, რადგან ბოლოსა და ბოლოს ეს უფრო ადვილად გამოეპარებიან ჩეჩენ ბოევიკებსო. ალბათ, მის ამგვარ მდგომარეობას გულისხმობდა საქართველოს მეთაური, როდესაც ამბობდა: ასეთი ელცინი დიდი ხანია არ მინახავსო).

გასულ კვირას რუსეთისთვის კიდევ ერთი უსიამოვნო ამბავი მოხდა. ტაჯიკეთში, რომლის ხელისუფლების ერთადერთი დასაყრდენი თავის ქვეყანაში რუსული ხიშტია, პრეზიდენტ ემომალი რაჰმონოვს აუჯანყდა ერთდროულად რამდენიმე თანამებრძოლი. მათ დაიკავეს ქალაქები - ყურღან-ტიუბე, ტურსუნზოდა და პრეზიდენტის გადადგომა მოითხოვეს. აღსანიშნავია, რომ აჯანყებულნიც პრორუსული ორიენტაციისა არიან და ჩრდილოურ მხეს ფიცულობენ. ბოლო დროს ტაჯიკეთის მარიონეტი პრეზიდენტი რუსებმა შეახურეს სრული უუნარობის გამო. ალბათ, ამიტომაც არის [illegible] სხვა მონების გააქტიურება და გამუდმებული განცხადებები, რომლებშიც რუსეთისადმი მორჩილებაა გამოხატული.

იგივეს ვერ ვიტყვით დაძაბულობის მესამე კერაზე, რომელიც ტაჯიკეთში არსებობს. ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, აგრეთვე ტაჯიკეთ-ავღანეთის საზღვრის სიახლოვეს, არიან გამაგრებული ტაჯიკეთის ეროვნულ პოზიციაზე მდგომი ოპოზიციის ნაწილები. რამდენიმე დღის წინ მათ კიდევ ერთხელ გამოხატეს დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი: "ტაჯიკეთს ხელისუფლება არ ჰყავს. ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი რუსეთის უსახო მონა-მორჩილია. მისი მოღალატური პოლიტიკა მომავალს უკარგავს ჩვენს სამშობლოს და ჩვენს შვილებს. ამიტომ, თუკი რუსეთი თავს არ დაანებებს რაჰმონოვის მხარდაჭერას, ჩვენ დავიწყებთ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომს რუსეთის წინააღმდეგ."

ამ განცხადებას ტაჯიკეთის ეროვნულმა ძალებმა ქმედებაც მოაყოლეს და ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს. გახშირდა რუს მესაზღვრეებზე თავდასხმებიც. მოვლენათა ამგვარი განვითარებით შეშფოთებულმა რუსეთმა სასწრაფოდ მიავლინა ტაჯიკეთში რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში - ბატურინი. ტაჯიკეთში ჩავიდა რუსეთის თავდაცვის მინისტრი - პაველ გრაჩოვიც. რუსები შიშობენ, რომ, გაზაფხულის დადგომასთან ერთად, ტაჯიკი ნაციონალისტების მოქმედებები მეტ სიმწვავეს შეიძენს და რუსეთ-ტაჯიკეთის დაპირისპირება, რომელსაც თავად რუსები "იეტადჟიკსკაია ვოინას" უწოდებენ, ფართომასშტაბიან ომში გადაიზრდება. ამ შემთხვევაში, ტაჯიკთა მხარეს მრავალი მეზობელი ქვეყნის მოხალისე მებრძოლი მიიღებს მონაწილეობას და რუსეთის საოკუპაციო ჯარების გაძევება ამ ქვეყნიდან რეალურ საქმედ იქცევა. ტაჯიკეთის, და შემდგომ მთელი შუა აზიის დაკარგვა კი იმასვე მოუტანს რუსეთს, რაც საბჭოთა კავშირს ავღანეთიდან გამოგდებამ მოუტანა. მით უმეტეს, რომ ცენტრიდანული პროცესები რუსეთში დიდი ხანია დაიწყო და ამ ქვეყნის დაშლის წანამძღვრები სახეზეა. ამას კარგად გრძნობენ რუსეთის სახელმწიფოს მიერ დამონებული ხალხები. ჩეჩნეთისა და ტაჯიკეთის კვალად, ეროვნულ ძალთა გარკვეული გააქტიურება იგრძნობა თათარისტანსა და დაღესტანშიც. თვით ის ქვეყნები, რომელთაც უკვე მოიპოვეს დამოუკიდებლობა, ცდილობენ, ხელი შეუწყონ რუსეთის დაძაბუნების პროცესს (ბალტიისპირეთის ქვეყნები ესწრაფვიან თავიანთ ტერიტორიაზე ნატოს სამხედრო ბლოკის შეიარაღების განლაგებას).

ყველასთვის ნათელია, რომ რუსეთი საბჭოთა კავშირის არა მარტო სამართლებრივი, არამედ იდეური მემკვიდრეც არის და დიდმპყრობლურ მიზნებზე ხელს თავისი ნებით არ აიღებს. დამონებულ ხალხებს ესმით, რომ სწორედ ახლაა ხელსაყრელი მომენტი რუსეთის უღლის გადასაგდებად. ეს ვერ შეუგნია მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც ჯერ კიდევ "კარგი" და "ცუდი" რუსეთის ძიებაშია.

# მუხლებზე ხოხვით დიდების წინააღმდეგ

*ნუგზარ წიკლაური*

# ანტიკავკასიურ იდეათა ტყვეობაში

"სიცოცხლე ჯერ კიდევ შესაძლებელია"...

*ყაზბეგი*

რევოლუციამდელი რუსული კინოს ისტორიაში კავკასიის თემა ყოველთვის იყო თავისებური აქილევსის ქუსლი. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში მეფის რუსეთი დიდად იყო დაინტერესებული კავკასიის დაპყრობის თემის ეკრანიზაციით. 1913 წელს ცნობილი კინომრეწველნი საქართველოში ახორციელებდნენ გრანდიოზული მასშტაბის ისტორიული კინოფრესკის - "კავკასიის დამორჩილება" - გადაღებას. მიუხედავად იმისა, რომ კინო სრულიად ახალი ხელოვნება იყო, რუსეთი არ ერიდებოდა თავისი ჩანაფიქრის რეალიზებას. შეუცდომლად ჭვრეტდა (ჯერ კიდევ დიდ ბელადამდე) კინოს განსაკუთრებულ მისიას თავის ერთგულ კოლონიაში.





სამაგიეროდ, მეტად წარუმატებელი და უიღბლო აღმოჩნდა "ჰაჯი მურატის" ეკრანიზაციის მცდელობა. მართალია, თითო-ოროლა ქართველი კინომოღვაწე შეეცადა მის გადაღებას რევოლუციამდე, მაგრამ ეს ცდები უშედეგოდ დამთავრდა და ვერც გაბოლშევიკებულ საქართველოში განხორციელდა. კავკასიის დამპყრობელს (იქნებოდა ეს ერთმორწმუნე კოლონიალისტი თუ მოძმე ბოლშევიკი) დიდად არ აწყობდა გაუტეხელი კავკასიელის ჩვენება ეკრანზე. თანაც, მას ყოველთვის ჰქონდა (და დღემდე აქვს) გენეტიკური თუ ისტორიული შიში კავკასიელი ეთნოტიპის მიმართ. უბრალო რუსისთვის კავკასია უნდა დარჩენილიყო გაუცხოებულ, ბარბაროსულ და მტრულ სამყაროდ.

ოციან წლებში საქართველოში მოღვაწე რუსი კინორეჟისორები ხშირად მიმართავდნენ ლერმონტოვისა და ალექსანდრე ყაზბეგის ეკრანიზაციას. კომერციული თუ კონიუნქტურული მოსაზრებით, ირჩევდნენ მხოლოდ სოციალური უთანასწორობის ამსახველ, მელოდრამისთვის შესაფერის ელემენტებს, ხოლო არასასურველი დეტალებისგან გულდასმით წმენდდნენ. მაგალითად, ფილმში "მამის მკვლელი" (რეჟ. ბარსკი, 1923 წელი) ვერ ნახავთ ნიკოლის რუსებთან საბრძოლო მზადების ამსახველ ეპიზოდებს, რომელიც ლიტერატურულ პირველწყაროში არსებითი ღერძი იყო. ხოლო ჩეჩენ და მოხევე რაინდთა ძმობა მხოლოდ მშრალადაა ილუსტრირებული.

ფილმში "თავადის ასული მერი" კავკასიური ტიპი მხოლოდ შორიდან, ან კანტიკუნტად თუ გამოჩნდება, ისიც დაკონკილ სამოსში სამათხოვროდ ხელგაწვდილი. სამაგიეროდ, რუსული არისტოკრატია ლაღად და თავისუფლად ნავარდობს კავკასიის ეგზოტიკურ კურორტებზე, ამ მშვენიერი, ამაღლებული ბუნების ბატონ-პატრონად გრძნობს თავს, ამაყად გასცქერის მის თვალუწვდენელ სივრცეებს, ქვებას, გასართობს ეძიებს მასში. კავკასიურ აულებსა და მინარეთებს ბევრად სჯობს რუსული

დასასრული მე-4 გვ.

# სასამართლო პროცესი ღიაა... ბადრაგისთვის

დასაწყისი 1-ელ გვ.

მხარეების წარდგენის შემდეგ მოსამართლე ალადაშვილმა (მსაჯულები - დევდარიანი და იჩკიტაძე) სიტყვა გადასცა განსასჯელებსა და ადვოკატებს. ლოთი ქობალიამ განაცხადა, რომ უკანონოდ მიიჩნევს ამ სასამართლო პროცესს, მაგრამ სასამართლოს შემადგენლობის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია. სოსო ჟღენტმა აცილება მისცა პროკურორ წერეთელს: "მას არ ჰქონდა უფლება აეღო ეს უკანონოდ აღძრული, ფალსიფიცირებული საქმე, რომელთანაც არავითარ კავშირში არ არის. მოვითხოვ, ბრალდების მხარე წარმოადგინოს იმან, ვისი შედგენილიც არის ეს საქმე და ვინც იგი დაამტკიცა - ანზორ ბალუაშვილმა" (და არა გენერალურმა პროკურორმა ბაბილაშვილმა, როგორც ეს ითქვა სამთავრობო ტელეარხის პროგრამა "მაცნეს" გამოშვებაში).

ზვიად ძიძიგურმა აცილება მისცა სასამართლო კოლეგიის მთელ შემადგენლობას და მიმართა მოსამართლეს: "ეს იქნება ანგარიშსწორების პროცესი, რომელზეც ბევრი სიბინძურე და სიცრუე გაიჟღერებს. მე თქვენ მესიმპათიურებით და არ მინდა ამ ფარსში, ამ სიბინძურეში მიიღოთ მონაწილეობა. თქვენ ქართველი კაცი ხართ და ოდესმე თუ სუფრაზე შევხვდით, შეგრცხვებათ ყოველივე ამის." ამაზე შემცბარმა მოსამართლემ მიუგო განსასჯელს: "- ეს არაფერს არ შეცვლის: მე არ ვიქნები, სხვა იქნება". "იყოს სხვა, თქვენ ნუ იქნებით". - უპასუხა ზვიად ძიძიგურმა.

ვინაიდან სხდომაზე ავადმყოფობის გამო არ იყო წარმოდგენილი ზვიად ძიძიგურის ადვოკატი და მის ინტერესებს დროებით გამოხატავდა მისი დამცველი წინასწარი ძიების ეტაპზე, მოსამართლემ შესთავაზა მხარეებს, გადაეწყვიტათ საორგანიზაციო საკითხები, ხოლო მუშაობა დაეწყოთ შემდეგ სხდომაზე. ამის გამო, არც ჯამბულ ბოკუჩავას შუამდგომლობა იქნა განხილული, სადაც იგი მოითხოვდა, რომ მას, როგორც ეროვნული გვარდიის ოპერატიული სამსახურის უფროსს, სამხედრო პირს, მისცემოდა საშუალება სასამართლოს წინაშე წარმდგარიყო სამხედრო ფორმითა და შესაბამისი ჩინით.

ორგანიზაციული საკითხების განხილვაში, ადვოკატებთან და განსასჯელებთან ერთად, აქტიურად ჩაერთვნენ დარბაზში და ფანჯრების რაფებზე მდგომი ჟურნალისტებიც, რომლებიც გამოთქვამდნენ აღშფოთებას იმ ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობების გამო, რომელთა გადალახვაც მოუწიათ. "ჩვენ არა გვაქვს მუშაობის საშუალება, აქ ისეთი სიტუაციაა, არაფერი გვესმის. მერე კი აბობენ, რომ დეზინფორმაციას გადავცემთ" - განაცხადა ფანჯარაზე შემდგარმა "მაცნეს" კორესპონდენტმა. ალბათ, ამით აიხსნება ის უზუსტობები, რომლებიც ჭარბად იყო მის მიერ მომზადებულ ტელესიუჟეტში, სადაც ხუთი განსასჯელის ნაცვლად, დასახელებული იყო შვიდი.

ნუგზარ მოლოდინაშვილმა სთხოვა სასამართლოს, მოეგვარებინათ პროცესზე დასწრების საკითხი: "თუ ეს ღია პროცესია, ყველას უნდა ჰქონდეს დასწრების უფლება. ნახევარი დარბაზი დაცვას უკავია. გაქცევას არავინ აპირებს. გამოდის, რომ პროცესი ბადრაგისთვისაა ღია."

*მ. ტუსიშვილი*

# ჯაბას მეგობარი ამზადებს ჯაბას სასამართლო პროცესს

30 იანვარს, ზაურ ქობალიას საქმის სასამართლო განხილვისას, მოწმედ იქნა დაკითხული ზილბერტ ხაზალია, 1992 წელს შევარდნაძის რწმუნებული სამეგრელოს რეგიონში. მან ფაქტობრივად გაიმეორა მერაბ რაფავას ჩვენება იმ ნაწილში, რაც ეხებოდა 1992 წლის აგვისტოში ზუგდიდში მოსალაპარაკებლად ჩამოსული შევარდნაძის წარგზავნილების დაკავებას. ხაზალიას მიაჩნია, რომ "ამით მათ შეარცხვინეს მთელი სამეგრელო", თუმცა იქვე აღნიშნა - "ტყვეობაში ძალიან კარგად გვექცეოდნენ, უკანასკნელ ლუკმას გვიყოფდნენ. 3 სექტემბერს დავით სალარიძე გაათავისუფლეს, ჩემი გაშვება ადრევე უნდოდათ, მაგრამ მე უარი განვაცხადე - აქედან ბოლო კაცად გავალ-მეთქი."

იმავე დღეს დაიკითხა ზუგდიდის სტამბის ეკონომისტი გუგუჩია, რომელმაც მოუთხრო სასამართლოს 1992 წელს სტამბის დირექტორის ბართაიას თანამდებობიდან განთავისუფლებასა და გაზეთ "აღდგომის" გამოცემასთან დაკავშირებული ვითარების შესახებ. მისი თქმით, ბართაიასთან მოვიდა ოთხი შეიარაღებული პირი და მოსთხოვა, დაეტოვებინა სამსახური. ზაურ ქობალიასთან შეხვედრის შემდეგ, დირექტორი დაბრუნდა სტამბაში, მაგრამ შეიარაღებულმა პირებმა კვლავ მიაკითხეს. მოგვიანებით ბართაია აცხადებდა, რომ თანამდებობა დატოვა ლოთი ქობალიას მოთხოვნით.

ამის შემდეგ სტამბის მუშაკებმა ჩაატარეს არჩევნები და დირექტორად აირჩიეს თავიანთი გამოცდილი მუშაკი სამუშია. არჩევნებს ზაურ ქობალიაც დაესწრებია. პროკურორის შეკითხვაზე, რატომ ესწრებოდა იგი არჩევნებს, გამგებელი ხომ არ იყოო, მოწმემ უპასუხა: "ჩვენ გამგებელსაც ვთხოვეთ, მოსულიყო, მაგრამ იგი არ მოვიდა".

ჯერ კიდევ ძველი დირექტორის თხოვნით, მოწმე გუგუჩიას თბილისში ყოფნისას უკითხავს საგეგმო სამმართველოში, რაიმე გაუგებრობა ხომ არ მოჰყვებოდა ზუგდიდის სტამბაში გაზეთ "აღდგომის" დაბეჭდვას. "ეს სოხუმიდან გადმოსული გაზეთია და სრული უფლება გაქვთ დასტამბოთო". - უთქვამთ სამმართველოში. აქვე გაირკვა, რომ "აღდგომა" გეგმაში არ ესვა ზუგდიდის სტამბას და მისი დაბეჭდვისთვის მუშებს ხელფასს არ უხდიდა. ამავე დროს, უფლება ჰქონდათ ხელშეკრულების საფუძველზეც დაებეჭდათ გაზეთი.

ზუგდიდის სარემონტო-სამშენებლო საწარმოო კოოპერატივის ხელმძღვანელმა, მოწმე ქურულორიამ აჩვენა, რომ მასთან საწარმოში გვარდიიდან შესაკეთებლად მოჰქონდათ საბრძოლო ტექნიკა. ძირითად სამუშაოებს ასრულებდა ანაკლიიდან ჩამოყვანილი მექანიკოსი, მეტსახელად ბაბუ. "ქაღალდკომბინატიდან შემოიტანეს 150-155 მმ დიამეტრის 11 მეტრიანი უჟანგავი მილები, რომლისგანაც უნდა დაემზადებინათ "გრადის" ტიპის დანადგარები. - განაცხადა მოწმემ. - მაგრამ როგორც შემდგომ შევიტყვე, არც ერთმა მათგანმა არ იმუშავა." აღსანიშნავია, რომ ქურულორია ისევე არ იცნობდა ზაურ ქობალიას, როგორც მოწმეთა უმრავლესობა, მხოლოდ ტელეეკრანზე ჰყავდა ნანახი.

31 იანვრის სხდომაზე მოსამართლე ლ. საყვარელიძემ სასამართლო კოლეგიას გააცნო სუს-ის იზოლატორის უფროსის თ. ქალიაშვილის ხელმოწერით დადასტურებული უშიშროების სამმართველოს შეტყობინება იმის თაობაზე, რომ განსასჯელი ვახტანგ (ლოთი) ქობალია უარს აცხადებს მოწმის სახით ზაურ ქობალიას პროცესზე გამოცხადებაზე, აგრეთვე თავად მისი განცხადება, სადაც აღნიშნული იყო: "სურვილი არ მაქვს გამოვცხადდე მოწმის სახით. ზაურ ქობალიას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ეროვნული გვარდიის ფორმირებაში. ვიყავი და ვარ ეროვნული გვარდიის ჯარისკაცი."

შემდეგ ბრალდებისა და დაცვის მხრიდან, ნივთმტკიცებათა სახით, წარმოდგენილი იქნა ვიდეოჩანაწერები.

პროკურორ ხაბაშვილის მიერ მოწოდებულ ვიდეოჩანაწერზე აღბეჭდილი იყო ინტერვიუ ლოთი ქობალიასთან, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია ზუგდიდში და ალექსანდრე კვირკველიას, მერდეხელიას (ვალტერ შურღაიას პროცესზე დაკითხული), კვაჟავას ვიდეოდაკითხვები.

ადვოკატ გოქსაძის მიერ წარმოდგენილ ვიდეოჩანაწერზე დაფიქსირებული იყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმართვა ქართველი ხალხისადმი, მისი შეხვედრა ფაქტობრივი ხელისუფლების შეიარაღებული ძალების მეთაურებთან ოჩამჩირეში და მოლაპარაკებები ერთობლივი მოქმედებების შესახებ. აგრეთვე ინგლისელი კინოდოკუმენტალისტის კრის ვენერის ფილმი "ნომენკლატურის რევანში", რომელშიც მოთხრობილია სამეგრელოს დარბევებზე და "მხედრიონის" საქმიანობაზე.

მოულოდნელად, მოსამართლემ შეაწყვეტინა ჩანაწერის ჩვენება იმ მოტივით, რომ "სამეგრელოში მომხდარი მოვლენები ცნობილია და სასამართლო მათ ეჭვის ქვეშ არ აყენებს. ეგ ფირი ჯაბას სასამართლოზე გამოდგება". - განაცხადა მან. "ჯაბას მეგობრის სასამართლო პროცესზე არ გამოდგება?" - დაეკითხნენ მას დარბაზიდან, რამაც ჩვეულებრივზე მეტად აალელვა მოსამართლე საყვარელიძე.

*ს. გურამიშვილი*

**საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს, ბ-ნ ჯ.ბაბილაშვილს**
**საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარეს, ბ-ნ ა.კავსაძეს**
**საინფორმაციო საშუალებებს**

**პოლიტპატიმარ გიორგი ყორბესაშვილის**

## განცხადება

ა.წ. 12 იანვრის განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით მოგახსენებთ ჩემი მდგომარეობის შესახებ:

გასული წლის 16 ივლისს - შიმშილობის მე-13 დღეს, რომლის ერთ-ერთი მოთხოვნა დაცვის საკითხის მოწესრიგებაც იყო - ბალუაშვილთან შეხვედრისას პირველად ვნახე დ. ნადირაშვილი - პიროვნება, რომელიც ოჯახის

# გიორგი ყორბესაშვილი მოითხოვს დაცვის საკითხის მოგვარებას

მიერ აყვანილ ადვოკატად წარმოიდგინეს. მანამდე კი, ფორმალურად მაინც თუ მყავდა დამცველი, დანამდვილებით ისიც არ ვიცი. მე, მიუხედავად არაერთგზის მოთხოვნისა, არ შემახვედრეს ოჯახის წევრებთან, რათა მომეგვარებინა დაცვის საკითხი და ადვოკატიც ჩემი თანხმობის გარეშე იქნა დანიშნული.

ჩვენს შორის პირველივე წუთებიდან წარმოიშვა უნდობლობა. მან არ შეიმუშავა და ჩემთან არ შეათანხმა დაცვის პოზიცია. არ დაინტერესებულა ჩემი თვითმკვლელობის მცდელობის ფაქტებით და მათი გამომწვევი მიზეზებით, არ აღუძრავს შესაბამისი შუამდგომლობები. ადვოკატმა არც ბალუაშვილის მუქარას მიაქცია ყურადღება: - "წყნარად იყავი, ბიჭო, თორემ ისე გადაგკარგავ, ვერავინ გაიგებს... ერთი და ორი არ გადამიკარგავსო". ადვოკატს პროტესტიც კი არ გამოუთქვამს ამ სიტყვებზე. მეტიც, - არ გავაღიზიანოთო, "კეთილგონიერებისკენ" მოწოდებით, ბალუაშვილთან ერთად მოითხოვდა ხელი მომეწერა ჩემი საპროტესტო შიმშილობის შეწყვეტის განცხადებაზე, რასაც, მძიმე ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამო, წინააღმდეგობა ვერ გავუწიე, თუმცა, შიმშილობა არ შემიწყვეტია. მიუხედავად იმისა, რომ შიმშილობას ვაგრძელებდი, ხელის მოწერის ფაქტი გამოიყენეს პროვოკაციული განცხადებისთვის ჩემს შიმშილობის შეწყვეტის [illegible].

ადვოკატთან შემდეგი ორი თუ სამი შეხვედრა უკვე ციხეში მოხდა, სადაც იგი გამომძიებლის მიერ ჩატარებულ "დაკითხვებს" ესწრებოდა, მაგრამ არ აფიქსირებდა გამომძიებლის მიერ ხშირად გამეორებულ მუქარა-დაშინებებს. გ.ნადირაშვილს შეშფოთება არ გამოუხატავს ჩემს მიერ თვითმკვლელობის მცდელობის გამეორების არც ერთ ფაქტზე, კმაყოფილდებოდა რა ჩემდამი გამოხატული "კეთილი სურვილებით" და "დაყვავებით": რას შვრები, ბიჭო, დაწყნარდი! ოჯახზე იფიქრე, დედაშენს რატომ აწერვიულებ და სხვა. არ გამოხატავდა პროტესტს, არ აღძრავდა სათანადო შუამდგომლობებს, რათა ნათელი მოჰფენოდა ჩემზე ძიების მხრიდან უმძიმეს უკანონო ზეწოლას, რამაც ამდენჯერ მიმიყვანა თვითმკვლელობის მცდელობამდე. ვხედავდი, რომ ჩემი ადვოკატი ჩემი დაცვისა და ძიების ობიექტურად წარმართვისთვის ხელის შეწყობის მაგივრად, ჩემდამი წაყენებული ყალბი ბრალდებების განმტკიცებას ემსახურებოდა. ამ და სხვა მიზეზთა გამო, სრული უნდობლობა ჩამომიყალიბდა მისდამი და ვერ გავენდე მას, მით უმეტეს, რომ არც მას უცდია ჩემგან სიმართლის გაგება. ოჯახის წევრებთან კი არ მახვედრებდნენ, რომ გამერკვია და მომეგვარებინა დაცვის საკითხი.

ოჯახის წევრებთან პირველივე შეხვედრისას - 20 სექტემბერს, კატეგორიულად მოვთხოვე მათ, რომ გაეწყვიტათ ჩემს ადვოკატთან ხელშეკრულება და მოეძებნათ ახალი დამცველი. ძლიერ გამიკვირდა, როცა დედაჩემის მიერ აღებულ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაზე იგივე პირის ხელმოწერა ვიხილე. გ.ნადირაშვილმა აქაც უარყოფითი როლი ითამაშა: არ უშუამდგომლა ოჯახს ჩემი ნდობით აღჭურვილი ექიმის ექსპერტიზაში ჩართვაზე.

აცილების მიუხედავად, მან 8 ნოემბერსაც სცადა დაკითხვაში მონაწილეობის მიღება. ასე რომ, დღემდე ჩემი დაცვის საკითხი მოუწესრიგებელია და ჩემს მიმართ ჩატარებული ყველა საგამოძიებო მოქმედება მიმდინარეობს რეალური დაცვის გარეშე.

31.01.96.

# ახალგაზრდები, რომლებიც გამოიყენეს

**უზენაეს სასამართლოში დასასრულს მიუახლოვდა სამსჯავრო განხილვა საქმისა, რომელსაც "სვირის საძმოს საქმეს" უწოდებენ, მაგრამ განსასჯელთა სკამზე, რკინის გისოსების მიღმა, "საძმოს" მაგივრად მხოლოდ ორი ახალგაზრდა ზის.**

საქმეში არსებულ წინააღმდეგობებზე; თავის გამამტყუნებელ სიტყვაში, მიუთითა თავად პროკურორმა აკაკი ადანაიამ, მაგრამ მას არაფერი უთქვამს მთავარ წინააღმდეგობაზე: შსს-ს მიერ ზესტაფონში გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად "სვირის საძმოს" განიარაღება და მისი წევრების დაპატიმრება მოხდა 1993 წლის 15 დეკემბერს - ამით იწყება ხსენებული საქმის (№ 7493070) საბრალდებო დასკვნა; ამავე დროს განსასჯელთა სკამზე მსხდომთა - გურამ მესხიშვილისა და შალვა აბულაძის მიმართ ძიება რეალურად მიმდინარეობდა 1992 წლის 9 დეკემბერს პოლიციის ზესტაფონის რაიგანყოფილებაზე მომხდარი თავდასხმის საქმესთან დაკავშირებით.

საქმის მასალებიდან გამომდინარე, აფხაზეთში მიმავალ "ავაზას" ბატალიონის ერთ-ერთ წევრს ზესტაფონის პოლიციამ ჩამოართვა ავტომატური იარაღი. მოსალაპარაკებლად მისული "ავაზას" წევრები გააგზავნეს ქუთაისში ქარჩავასთან, - "იარაღი იქ გადავაგზავნეთო". ქარჩავამ ამის შესახებ არაფერი იცოდა და ზესტაფონში დაბრუნებული მოხალისეები კვლავ პოლიციის რაიგანყოფილებას მიადგნენ. პოლიციის უფროსი როხვაძე, რომელიც ადასტურებს იარაღის წართმევის ფაქტს, ამ დროს ადგილზე არ იმყოფებოდა. საკითხის გარკვევისას შეიქმნა კონფლიქტური სიტუაცია და მოხდა შეტაკება. ორმხრივი სროლა, რომლის შედეგად დაიჭრა რამდენიმე პირი, მათ შორის პოლიციის თანამშრომელი ოქრუაძე, მოკლული იქნა "ავაზას" ბატალიონის წევრი, ბატალიონის მეთაურის ტრისტან წითელაშვილის ბიძაშვილი, ნიაზ წითელაშვილი.

ძიებით არ დადასტურდა, რომ 1992 წლის 9 დეკემბრის ინციდენტის მოტივი იყო ზესტაფონის რაიგანყოფილებაზე წინასწარ მომზადებული თავდასხმა. შეტაკება მოხდა წართმეული იარაღის დაბრუნების მცდელობის შედეგად წარმოქმნილი კონფლიქტის ვითარებაში.

საქმეში არსებული წინააღმდეგობები აღიარა თავად პროკურორმა და დაგმო კიდევაც კოლექტიური ბრალდებების პრაქტიკა, რომელიც 37 წლის ტრადიციას წარმოადგენს. მანვე იშუამდგომლა სასამართლოსთან, ამოირიცხოს საქმიდან ოქრუაშვილის დაჭრის ეპიზოდი, ვინაიდან არ არის დადგენილი, თუ ვინ დაჭრა პოლიციის თანამშრომელი. თავად ოქრუაშვილი აცხადებს, რომ იგი საპირისპირო მხრიდან ნასროლი ტყვიით დაიჭრა. ამდენად, შესაძლოა, შემთხვევით თავისივე მოძმეების მსხვერპლი გახდა. ამ შემთხვევაში გაუგებარია, თუ რის საფუძველზე მოითხოვა ბრალმდებელმა, რომ განსასჯელებს შეეფარდოს სს კოდექსის 209 მუხლი (პოლიციის თანამშრომელზე თავდასხმა სიცოცხლის განზრახ ხელყოფის მიზნით), რომელიც მათ სწორედ ოქრუაშვილის დაჭრის ეპიზოდში აქვთ წაყენებული? საბოლოოდ ა. ადანაიამ მოითხოვა მესხიშვილს მიესაჯოს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით, ხოლო აბულაძეს - 10 წლით და ორივემ პირველი 3 წელი საპყრობილეში გაატაროს.

ნიშანდობლივია, რომ ამ შეტაკებაში მონაწილე დანარჩენი 14 პირის მიმართ სს საქმე გამოყოფილია, ვინაიდან მათი პიროვნების დადგენა არ მოხერხდა, ხოლო ბატალიონის მოხალისეების - გურამ მესხიშვილისა და შალვა აბულაძის პიროვნების დადგენა სწორედ იმიტომ გაადვილდა, რომ ისინი სოფელ სვირის მცხოვრებნი არიან.

ამავე დროს, "სვირის საძმოს" მეთაური მერაბ კაკაურიძე განთავისუფლებული იქნა 30-ზე მეტი პარლამენტარის შუამდგომლობის საფუძველზე შოთა კვირაიას ხელმოწერით.

განსასჯელთა ადვოკატებმა თემურ გვიშიანმა და თამაზ ხორგუაშვილმა ხაზი გაუსვეს, რომ ძიებამ ვერ დაადასტურა განსასჯელთა ბრალეულობა კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებებში - ვინ ისროლა ავტომატი, ვინ ხელყუმბარა - და წარდგენილი ბრალდებები ზოგად ხასიათს ატარებს. ამასთან მათ აღნიშნეს, რომ ორივე განსასჯელისთვის 1994 წლამდე არავითარი პრეტენზია არ წამოუყენებიათ. მეტიც, ორივე იბრძოდა ჯერ სამაჩაბლოში, შემდეგ აფხაზეთში. მესხიშვილი ტყვეობაშიც კი აღმოჩნდა. 1993 წლის შემოდგომაზე, სოხუმის დაცემის შემდეგ, მათ კვლავ აიღეს იარაღი და გააგზავნეს სვანეთიდან ლტოლვილების გამოსაყვანად.

"- ისე არ მოხდეს, რომ ეს ახალგაზრდები გამოიყენეს და როდესაც ზურგი გაიმაგრეს, განსასჯელთა სკამზე დასვეს" - განაცხადა მესხიშვილის დამცველმა გვიშიანმა. მთავარი ამ პროცესში, ალბათ, სწორედ ეს არის...

*ა. ჭ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანტიკავკასიურ იდეათა ტყვეობაში

დასაწყისი მე-2 გვ.

თუ ევროპული ყაიდის შენობები, ეკლესიები და ხუტორები. ამგვარად, საბჭოთა მაყურებელს რევოლუციის პირველივე წლებიდან მკვეთრად ჩამოუყალიბეს აზრი, რომ ძალა ძალად რჩება მიუხედავად იმისა, რომ “ცუდი“ რუსეთი “კარგით“ შეიცვალა.

ისტორიული შიშის და მწარე მოგონებების გამო, კავკასიურმა ეთნოტიპმა თუ აქაურმა ტრადიციებმა 30-ანი წლებიდან ზედმეტად არასასურველი, ლამის დანაშაულებრივი დატვირთვა შეიძინა. ამიტომაც საჭირო გახდა მათი გამასხრება, დაკნინება, ნიველირება. ამას ყველაზე მასშტაბურ სახეს სწორედ კინო მიანიჭებდა. მაგრამ სასურველი იყო, რომ ეს საპასუხისმგებლო მისია სწორედ “ადგილობრივ“ ანუ ქართველ კინოინტელიგენციას განეხორციელებინა. ასე შეიქმნა ქართული კინოკომედია “ნამდვილი კავკასიელი“ (რეჟ. მიხ. გელოვანი, 1930 წელი).

ფილმის გმირი, მსახიობი ყიფიანი რუს მანდილოსნებში თავმომწონედ ტრაბახობს, თუ როგორ იტაცებს ყოველ კვირას ცხრაკლიტულში გამოკეტილ ქართველ მზეთუნახავებს. მონუსხული რუსი ქალბატონები აღფრთოვანებით ისმენენ რაინდის ამურულ ისტორიებს. აქვეა ერთ-ერთი ქალბატონის მეუღლე, კავკასიური ეგზოტიკით მოხიბლული მოლარე ზნაჩკოვსკი. მის წარმოდგენაში თბილისი ველური აზიელების ქალაქია, სადაც წყაროებიდან წყლის ნაცვლად ღვინის შადრევნები მოედინება, მას დაწაფებული ქართველი ბავშვები მთვრალები დაბარბაცებენ ქალაქის ქუჩებში, მახინჯი და დიდცხვირა დედები რძის ნაცვლად ღვინოს აწოვებენ შვილებს. ჩიხტიკოპიანი ბანოვანები მხოლოდ ცეკვათამაშში ატარებენ დროს. ბოხოხიანი აზიელები, ყოვლად უმიზეზოდ, ხმლით ჩეხავენ თანამემამულეებს. საკმარისია რამე არ მოეწონოს ჩოხოსან რაინდს, რომ თავი გააგდებინოს მოსაუბრეს... წვერის პარსვისას კლიენტი შიშისგან დათრგუნული ზის, რათა დალაქმა მოულოდნელად თავი არ წააჭრას.

თბილისში მოხვედრით ბედნიერი, ბახუსმორეული ზნაჩკოვსკი ლეკურს ცეკვავს, მაგრამ ბოლშევიკურ, პარადების რიტმში ჩართულ ქალაქში ეს ცეკვა მხოლოდ ლოთის ჯამბაზობად აღიქმება. ხოლო კავკასიური კოსტუმი სასაცილოდ ბუტაფორიული და უფუნქციო ხდება ამ სოციალისტურ რეალობაში. ზნაჩკოვსკი ვერ იხდის ტანსაცმელს და იძულებულია ქამარ-ხანჯლით დაიძინოს, რაც კომიზმის დამატებით ელემენტს სძენს მთელ სიუჟეტს.

ასეთია “ნამდვილი კავკასიელი“, ხოლო თავად კავკასია არც ისე რომანტიკული და სამოთხის მსგავსი სამყაროა. ასე რომ, რუსი ქალბატონები ტყუილად ეტრფიან ველურ, ფიცხ და შეუგნებელ კავკასიელ რაინდებს...

კავკასიური ეთნოტიპის უხეში ვულგარიზება შემდგომში უფრო თამამად გრძელდებოდა. ამას კი 60-ანი წლების ქართველი კინომოღვაწენი ბევრად უფრო დახვეწილი პროფესიონალიზმით და იუმორის უზადო გრძნობით ახერხებდნენ. თუ გავიხსენებთ დღემდე აგრერიგად პოპულარულ რუსულ ფილმს “არ დაიდარდო“, - ნათლად გამოჩნდება ეს ტენდენცია. ყველაზე ოდიოზური პერსონაჟები ფილმში ქართველი კუდაბზიკა, ცერცეტი თავადი და მისი ამალა - ცხვრის ფარასავით ბრმად მორჩილი, გონებაჩლუნგი, გაუთლელი მთიულები არიან. ასეთივე გაუთლელი და ხეპრე ჩანს ხევსურიც, რომელიც ცოლის შარდიანი ქილით ხელში, სიტუაციისთვის შეუსაბამო ქედმაღლობით ელოდება ქეიფს გადაყოლილ ექიმს.

ამავე სცენარისტის სხვა კინონოველაში “კავკასიური რომანი“, მთის უცნაური ბინადარნი უფრო ავსულებსა და ქაჯებს ჰგვანან, ვიდრე ადამიანებს. მათ უკვე აღარაფერი აკავშირებთ ნამდვილ კავკასიელთან - გამგელებულნი შეექცევიან ადამიანის ხორცს, ღვინით ტყვრებიან, დაუნაწევრებლად მეტყველებენ. ავტორებმა “ვეფხისტყაოსნის“ ქაჯებს კავკასიელთა სახით დამაჯერებელი კინოსახეები მოუძებნეს.

ასე თანდათან და მიზანდასახულად გადაიქცა “ნამდვილი კავკასიელის“ ფენომენად დარდიმანდი, მოქეიფე, რუსეთში მოგრიალე ვალიკო - მთიელი “მიმინო“, და თავქარიანი ბენჯამენ ღლონტი, რომლებმაც ბაში-აჩუკების, ჰაჯი მურატების, არსენას და შამილის ადგილი დაიკავეს კინემატოგრაფში.

ამიტომაც, ნუ გაგვიკვირდება დღევანდელი ელიტის აზრი “ჭუჭყიან, ბანდიტ“ ჩეჩენზე, მით უმეტეს, რომ ეს მსოფლაღქმა თითქმის ასწლოვანი კინოტრადიციით არის გამაგრებული. დღეს რჩეული საზოგადოება თავის “რასისტულ“ განწყობილებას ჩვეული და უსუსური არგუმენტით იცავს - “რუსეთი ძლიერია, მას ვერ მოერევი“. ნუ გვიკვირს, როდესაც ცნობილი ქართველი ნომენკლატურული კინო და საზოგადო მოღვაწე კვლავაც გვმოძღვრავს “თავისი“ ტელევიზიიდან: “ჩვენმა თავადაზნაურობამ კარგად იცოდა ყველაფრის ფასი, ამიტომაც დადგა იგი რუსეთის გვერდით, ძალა აღმართს ხნავს, პოლიტიკა უცნაური რამაა“...

ვიღაცისთვის მართლაც გასაგები და ბუნებრივია ძალის წინაშე ქედის მოხრა. მართალის, მაგრამ სუსტის მხარეს დგომა ხომ ადამიანისგან ნამდვილ ვაჟკაცობას მოითხოვს. ამიტომაც, უღირსი წინაპრების კვალდაკვალ “ცივილიზებული“ რუსეთის ხატის ერთგულება ველურ კავკასიელთა მხარდაჭერის საპირისპიროდ, ყოველთვის უხვად პოულობდა იდეოლოგიურ მხარდამჭერს დროებაში, როცა ნამდვილი ფასეულობები უმნიშვნელო ღირებულებებით არის ჩანაცვლებული.

თუ “დიდი პოლიტიკის“ მეხოტბენი ოდესმე იმდენად მოიცლიან საზოგადო საქმეებისგან, რომ ლოთი ნიკალას ნაკლებტირაჟირებულ ტილოებს გადახედონ, აღმოაჩენენ ორ მშვენიერ სურათს, რომლებიც განუმეორებელი სისადავით გამოხატავენ ამ ორი სამყაროს საუკუნოვანი დაპირისპირების არსს: ერთი მხრივ, თეთრ ჩოხასა და თეთრ თავსაბურავში მტკიცედ და შეუპოვრად, მთასავით მკვიდრად მდგარი შამილი - ლაღად განფენილი თეთრი ღრუბლებით და თეთრჩოხიანი ვაჟკაცებით გარშემორტყმული და მეორე მხრივ, რუსი გენერალი ბარატინსკი - შავ მუნდირში, შავი ჯარისკაცებით და შავი ღრუბლებით გარემოცული, წალეკვით რომ ემუქრება თეთრ, თავისუფლად და ლამაზად გაშლილ სამყაროს. ამ მეტაფორას ახსნაც კი არ სჭირდება - შავი ფერი ფიროსმანთან გაიგივებულია ბნელ, უხეშ, ერთსახოვან, დამანგრეველ ძალასთან, რომელიც გამუდმებით ისწრაფვის [illegible] მომცველი თეთრისკენ, რათა შთანთქას იგი. შავი, თეთრისგან განსხვავებით, ვერ ჰგუობს, ვერ ეთვისება სხვა ფერს, იგი შლის, აქრობს, აუფერულებს, სიცოცხლეს აცლის ყველა ფერს.

ვეჭვობთ, “მსოფლიოში კულტურათა დიალოგის“ მესვეურებზე ნაკლებად ყოფილიყო ალექსანდრე ყაზბეგი ინფორმირებული რუსთა სიძლიერის შესახებ. მაგრამ “არაინფორმირებული“ ფიროსმანის მსგავსად, მანაც შესანიშნავად იცოდა, რომ როგორც კი დაუშვებ უსამართლო ძალასთან კომპრომისს, მასთან შეგუებას, “დიდი პოლიტიკის“ გამოყენებით უსუფთაო თამაშს, ეს ძალა აუცილებლად გაგანადგურებს, გშთანთქავს.

“ციციას“ მოხუც გმირს - თემურყოს ჩეჩენი ყაჩაღი ქალიშვილს მოსტაცებს. დადარდიანებული, სასოწარკვეთილი მამა რუსის ხელისუფლებისგან ითხოვს თანადგომას. ცხადია, იგი ამაოდ ირჯება, რადგან ძლიერი მფარველის მოიმედეს ამავე ძალის წარმომადგენელი, ქართველი ლაქია - აპრაკუნე ართმევს სარჩო-საბადებელს. ციცია სრულიად მარტო რჩება მტრულ, გულგრილ, აგრესიულ სამყაროში. ქვრივი, ობოლი, გალატაკებული, დაუცველი, იგი უპირობო დაღუპვისთვის იქნებოდა განწირული, რომ არა იმედიანი და ოპტიმისტური ფინალი - ჩეჩენი სულთი მოდის ციციას გადასარჩენად. აზრი, რომელიც ამ ეპიზოდში დევს - მარტივი, ნათელი, გასაგები, მისაღებია. უხეში ძალისგან თავის დახსნა მხოლოდ მასთან ბრძოლით არის შესაძლებელი. ამ ბრძოლაში ქრისტიან მთიელს და მაჰმადიან ჩეჩენს ერთმანეთის გარდა მოკავშირე არ ჰყავს. მათი ერთიანობა კი კავკასიაში თეთრი ღრუბლებით გარემოცული ჰარმონიის აღდგენის ერთადერთი გარანტიაა.

ჩეჩენი სულთი თვალუწვდენელი მწვერვალების სითეთრისკენ მიაქროლებს ციციას: “სიცოცხლე ჯერ კიდევ შესაძლებელია“!

ნეტავ თუ ოდესმე დაინტერესდება ქართული კინო კავკასიური თემატიკით და ბუნებრივად ჩაეძიება ვაჟას, ყაზბეგის, გრიგოლ რობაქიძის ესთეტიკის რაინდულ მშვენიერებას.

*ოლღა იოსელიანი*

TAVISUPALI SAKARTVELO
(FREE GEORGIA)
No3 (in brief)
6 - 12 February, 1996

## The Court Hearing is Open for the Convoy

On February 1, 1996 the Court Hearing of Case # 7495927 started at the Supreme Court of Georgia defendants being Vakhtang (Loti) Kobalia, Jambul Bokuchava, Simon (Soso) Zhgenti, Zviad Dzidziguri, Nugzar Molodinashvili.

The main events of that day were developing before the beginning of the hearing at the entrance of the Court building. Those who wished to attend the Court Hearing were thoroughly searched by the policemen one of them being a police officer Miss Mzia who took some women to the separate room and literally stripped them out of their clothes.

Of many correspondents presented there the State Guard chose the corespondent of the "Tavisupali Sakartvelo" newspaper Mrs. Anna Chavchavadze, as well as the members of International Human Rights Society Mrs. Lia Beruashvili and Mrs. Maya Kereselidze who were informed that they had neither the right to record the process of Court Hearing by video recorder nor even attend the hearing. Mrs. Anna Chavchavadze was forced to leave the Court together with the editor-in-chief of the "Marji" newspaper Mr. Bezhan Javakhia who happened to be the only journalist that unlike his other colleagues had expressed his wish to know the reasons of not allowing his colleague to attend the hearing. After negotiating with the Head of Police Department of Mtatsminda Region Mr. Elguja Jamburia our correspondent was allowed to enter the building of the Court from which she was again successfully evicted. The situation before the Court building was becoming progressively strained. The police evidently trying to avoid the further straining of the situation eventually let nearly all those who wished to attend the Hearing into the building. At the same time the piquet moved to the inner staircases of the building and the procedure of selecting the journalists to be allowed to the hearing started again - the first priority was given to the international agencies and correspondents of the official press, the representative of opposition press being left as the last choice: "If the hall of Court Hearing is filled we will not be able to let you in".

At this moment the mother of the journalist David Bolkvadze who perished in 1993 in Khobi appealed to the members of State Guard: "I demand not to allow the journalist Anna Chavchavadze to the trial. I cannot stand her cynical face. She has said that my son "received what he deserved".

The excesses continued in the courtroom. Appearance of Vakhtang Kobalia was accompanied with the curses of the victims who were shouting "Murderer, condemn you and your family"... The relatives of the defendants responded all these offenses with remarkable reverse; however the convoy and police for some reasons unknown severely reprimanded them repeating every now and then :"Keep quiet". Only one of them, an elderly gentleman, exclaimed "Well, let us bring here half a million of victims from Megrelia, and we shall see what you will say then". It was evident that further straining of situation and artificial provoking of the conflict would become the cause to close the hearing.

After presenting the parties judge Aladashvili (jurymen Devdariani and Ichkitatdze) gave the floor to the defendants and their lawyers. Loti Kobalia declared that he considered that Court Hearing illegal though did not have any claims against the composition of the Court. Soso Zhgenti objected to the Prosecutor Tsereteli's candidature: "He did not have the right to accept this illegally brought charge, this falsified Case, which has nothing to do with him. I demand the prosecution party to be represented by the person who had faked this Case and who had approved it - I mean Mr. Anzor Baluashvili" (not he prosecutor General Babilashvili as it had been transmitted by the governmental TV program "Matsne").

Zviad Dzidziguri challenged the whole composition of the Court collegium and appealed to the judge: "This is going to be the trial of settling squares richly mixed with many dirty insinuations and lies. I like you and do not wish you to participate in this dirty affair".

Since Zviad Dzidziguri's lawyer was not attending the hearing because of his being ill, the judge offered the parties to decide between them the organizational issues and postpone the hearing for the next Court session.

Nugzar Molodinashvili appealed to the Court with the request to solve the problem of attendance: "If this is an open hearing, everybody has to have right to attend it. Half of the court-room is occupied by the Guard. Nobody is going to run away. And it turns out that this hearing is open for the convoy only."

M. Tusishvili

## The Case of "Sviri Group"

Court Hearing of the Case which is known as "Sviri Group Case" is coming to its end , though on the dock behind the bars are sitting only two young men instead of a "Group".

As a result of operative activities of the Ministry of Internal Affairs in Zestaphoni town "The Sviri Group" was disarmed and arrested on December 15, 1993. Proceeding from the materials of the Case, Zestaphoni police disarmed one of the members of "Avaza" battalion which was heading to Abkhazia. The members of "Avaza" who came for negotiations were sent to Kutaisi to Mr. Karchava to whom according the information received in the police was sent the weapon in question. Mr. Karchava did not know anything about this and the volunteers who had returned to Zestaphoni again went to the regional department of police. The head of police Mr. Rokhvadze who confirms the fact of confiscation of the weapon, happened to be absent when the volunteers arrived to the police. The process of clarifying the issue grew into the conflict which led to the armed opposition. As a result, several people were wounded among those one policeman Mr. Okruadze and one member of "Avaza" battalion Mr. Niaz Tsitelashvili was killed.

Investigation failed to confirm that the motive of the incident of December 9 1992 was intentional attack of Zestaphoni regional police department. The controversies existing in the Case were recognized by the Prosecutor himself who had even condemned the vicious practice of collective accusations which were reminding him the traditions of 1937. He put a motion to remove the episode of Okruadze's wounding from the Case, since it was not stated who namely injured the policeman. In such a case it becomes absolutely unclear why the Prosecutor demanded to condemn the defendants by Article 209 of Criminal Code of Georgia (envisaging assault of the police staff member with the aim of intentional attempt upon his life) with which they were charged exactly because of the above episode. Prosecutor Alania demanded for Mr. Meskhishvili 13 year and for Mr. Abuladze 10 year imprisonment in the colony with strict regime both of them to be kept in prison for the first three years.

It is noteworthy that the Case of other 14 persons who were taking part in the above incident is to be heard separately, since their identities remain unknown, while the identities of the volunteers of the "Avaza" battalion Mr. Guram Meskhishvili and Shalva Abuladze were stated due to the fact that they are residents of Sviri village. At the same time the head of "Sviri Group" Mr. Merab Kakauridze was released by the petition made by more than 30 Members of Parliament and signed by the Minster of Internal Affairs Mr. Shota Kviraia.

The defendants' lawyers Mr. Temur Gvishiani and Mr. Tamaz Khorguashvili stressed that the investigation failed to prove the guilt of the defendants in committing the specific crime and all the accusations brought against them were of general character.

## Giorgi Korbesashvili Demands to Settle the Problem with His Defense

In relation to the Statement of January 12, 1996 I would like to additionally inform you about the following:

On July 16, 1995 on the 13th day of my hunger-strike, one of my demands being solving the problem with my defense, when I met Mr. Baluashvili I saw D. Nadirashvili who had been introduced to me as the lawyer hired by my family for th first time. Before that day I was not aware if I had any lawyer at all. Irrespective of my multiple requests to let me see the members of my family to settle the problem of my defense I had never was given such opportunity, and the lawyer was appointed without my consent.

From the very first minutes of our meeting we mistrusted each other. He did not develop and agree with me the position of defense. He had never got interested in the facts of my suicidal attempts and the causes that provoked them. He had never put respective motions. My lawyer ignored even the threat of Baluashvili who warned me: "You'd better calm down or I'll make you disappear so that nobody would ever learn about it.... And you will not be the first and the only one to disappear". The lawyer even did not show any protest on hearing these words. Even more he advised me: "Please do not tease him, be reasonable". In the presence of Baluashvili he was trying to make me sign the statement about cessation of my hunger-strike. Because of my severe physical and psychological condition I could not very well resist them, though I have never ceased my hunger-strike. Irrespective of the fact that I was continuing my hunger-strike they used the fact that they had made me sign the above statement to provocatively state that I had ceased the hunger-strike.

The following two or three meetings with my lawyer took place in the prison where he was attending "interrogations" carried out by investigation. He had never recorded the threats I heard from the investigator. G. Nadirashvili, did not show any concern about my more than one attempt to commit suicide, being content with showing me his "good wishes" and "kind advises" "What are you doing, be reasonable, cool down! Think of your family, why do you distress your mother" , etc. He had never shown his protest, neithr put respective motions to expose the illegal pressure I had been subjected to by the investigation which led me to attempt to commit suicide for so many times. I saw that my lawyer instead of contributing to the objective investigation of my Case and providing me with an adequate defense, was helping the investigation to strengthen the faked charges brought against me. For these reasons I consider the issue of my defense as unsettled and all investigatory activities in relation to my Case - as proceeding without any actual defense.

Political Prisoner Giorgi Korbesashvili
January 31, 1996.

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE
მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia